



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31221195

თარიღი:29/04/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №19

2022 წლის 28 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, დანართი N1-ში მითითებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, გადასცეს (ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“ (ს/კ 433649322) მისი არსებობის ვადით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



№	ქონების დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	აღწერილობა
1	ნაგავმზიდი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 110E22W	1	ცალი	სახელმწიფო № EE-903-TT
2	ნაგავმზიდი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 110E22W	1	ცალი	სახელმწიფო № EE-902-TT
3	ნაგავმზიდი - (4X2) IVECO EUROCARGO ML 110EL22	1	ცალი	სახელმწიფო № LL-543-FF
4	ნაგავმზიდი ავტომობილი - BMC TGR 2532WBL	1	ცალი	სახელმწიფო № YY-749-IY
5	თვითმცლელი - Ford Trucks 1833D DC (4X2)	1	ცალი	სახელმწიფო № FQ-276-QF
6	თვითმცლელი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 150E25W	1	ცალი	სახელმწიფო № EE-852-TT
7	1100 ლიტრიანი პლასტმასის ნარჩენებისგანთავსების კონტეინერი	500	ცალი	

ქ. ნაჭყ